

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული საკონკურსო განცხადება

ქალაქი ფოთის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით.

საკონკურსო განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის მიღება იწყება 2019 წლის 08 ივლისს, ხოლო მთავრდება 2019 წლის 28 ივლისს 17 საათზე;

საკონკურსო განცხადების (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე) მიღება ხდება შემდეგ მისამართზე: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №12.

კონკურსის მოწყობის ადგილია ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N12, 2019 წლის 16-19 აგვისტო 9:00-დან 18:00-მდე.


საკონკურსოდ წარმოდგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალება შეფასდება ნებართვის მაძიებლის კონკურსში დაშვებიდან (2019 წლის 05 აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით) შესაბამისი გეგმა-გრაფიკით, შემდეგ მისამართზე: ქალაქი ფოთი ჭანტურიას ქ. №3;

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ. გვერდი <http://www.poti.gov.ge>. ან დარეკეთ შემდეგ ნომერზე (0493) 22-10-56. საკონტაქტო პირი ტრანსპორტის განყოფილების უფროსი გოდერძი შონია.

წერილობითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოითხოვოთ შემდეგ მისამართზე: ქალაქი ფოთი, ჭანტურიას ქუჩა №3 ტრანსპორტის განყოფილება.

კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია წარმოდგენილ სატრანსპორტო საშუალებაზე დასასაქმებელი კონტინგენტის (მძღოლების) შერჩევისას უპირატესობა მიანიჭოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში 2017-2018 წლებში ადგილობრივ ტერიტორიულ საზღვრებში საქალაქო რეგულარულ მგზავრთა გადაყვანაზე რეგისტრირებულ მძღოლების დასაქმებას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი



გოჩა კურდღელია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული, საკონკურსოდ გათვალისწინებული მარშრუტების ნომრები, მარშრუტზე მომუშავე (სამუშაო დღე) ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა, სახეობა და მუშაობის დაწყება-დამთავრების დრო და ინტერვალი

| რეგულარული მარშრუტის ნომერი | მარშრუტზე ყოველდღიურად მომუშავე სატრანსპორტო საშუალების რაოდენობა | მარშრუტზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალების სახეობა | მუშაობის რეჟიმი, დაწყება-დამთავრების დრო | ინტერვალი | | |
|-----------------------------|---|---|---|---|---|---------------------|
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | | |
| N30 | 2 | M3 | 08:30 – 19:00 სთ. | 30 წთ. | | |
| N31 | 2 | | 07:45 – 19:00 სთ. | 30 წთ. | | |
| N32 | 2 | | 07:30 – 19:00 სთ. | 30 წთ. | | |
| N1 | 1 | M2 | აპრილი-სექტემბერი 07:00 – 20:00 სთ. ოქტომბერი - მარტი 07:30 – 19:00 სთ | 15 წთ. | | |
| N3 | 1 | | აპრილი-სექტემბერი 07:00 – 20:00 სთ. ოქტომბერი - მარტი 07:30 – 19:00 სთ | 25-30 წთ. | | |
| | 1 | | | | | |
| | 1 | | | | | |
| N4 | 1 | | | 07:30 – 20:00 სთ. | 25-30 წთ. | |
| | 1 | | | | | |
| N5 | 1 | | | 07:00 – 20:00 სთ. | 5-6 წთ. 30 წთ. | |
| | 1 | | | | | |
| N6 | 1 | | | აპრილი-სექტემბერი 07:00 – 20:00 სთ. ოქტომბერი - მარტი 07:30 – 19:00 სთ | 25-30 წთ. | |
| | 1 | | | | | |
| N7 | 1 | | | 07:30 – 20:00 სთ. | 25-30 წთ. 60 წთ. | |
| | 1 | | | | | |
| N8 | 1 | | | 08:00 – 19:00 სთ. | 25-30 წთ. 60 წთ. | |
| N9 | 1 | | | აპრილი-სექტემბერი 07:00 – 20:00 სთ. ოქტომბერი - მარტი 07:30 – 19:00 სთ | 25-30 წთ. | |
| N10 | 1 | | | 07:30 – 20:00 სთ. | 40-60 წთ. | |
| | 1 | | | | | |
| | 1 | | | | | |
| N13 | 1 | | | | 07:30 – 19:00 სთ. | 15-30 წთ. |
| N16 | 1 | | | | აპრილი-სექტემბერი 07:00 – 20:00 სთ. ოქტომბერი - მარტი 07:30 – 19:00 სთ | 25-30 წთ. |
| N20 | 1 | | | | 07:00 – 21:00 სთ. | 7-10 წთ. 30 წთ. |
| | 1 | | | | | |
| N21 | 1 | | | | 07:00 – 20:00 სთ | 40-60 წთ. 60 წთ. |
| | 1 | | | | | |
| N22 | 1 | აპრილი-სექტემბერი 07:00 – 20:00 სთ. ოქტომბერი - მარტი 07:30 – 19:00 სთ | 25 წთ. | | | |
| | 1 | | | | | |

| | | | | | |
|-----|---|-------------------|---|---|-----------|
| N23 | 1 | | აპრილი-სექტემბერი 07:00 – 21:00 სთ. ოქტომბერი - მარტი 07:30 – 19:00 სთ | 7-10 წთ. 30 წთ. | |
| | 1 | | | | |
| | 1 | | | | |
| | 1 | | | | |
| | 1 | | | | |
| N24 | 1 | | 07:00 – 20:00 სთ. | 25-30 წთ. | |
| | 1 | | | 60 წთ. | |
| N25 | 1 | | 07:00 – 21:00 სთ. | 5-6 წთ. 30 წთ. | |
| N26 | 1 | | M2 | აპრილი-სექტემბერი 07:00 – 20:00 სთ. ოქტომბერი - მარტი 07:30 – 19:00 სთ | 30-60 წთ. |
| | 1 | | | | |
| | 1 | | | | |
| | 1 | | | | |
| | 1 | | | | |
| N28 | 1 | 07:30 – 20:00 სთ. | | 30-60 წთ. | |

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

Handwritten signature



გონა კურდღელია

კონკურსში მონაწილე ნებართვის მაძიებლის
შეფასების კრიტერიუმები და შეფასებების ქულა

მუხლი 1. ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მონაცემები

ავტოსატრანსპორტო საშუალების ხნოვანება:

- ა) 2008-2011 წლებში გამოშვებული სატრანსპორტო საშუალება – 10 ქულა;
- ბ) 2004-2007 წლებში გამოშვებული სატრანსპორტო საშუალება – 7 ქულა;
- გ) 2004 წლამდე გამოშვებული ავტოსასატრანსპორტო საშუალებები-1 ქულა.

მუხლი 2. ავტოსატრანსპორტო საშუალების გარეგნული იერსახე

1. ძარას ვარგისიანობა:

- ა) ძარა არ არის მექანიკურად დაზიანებული და არ გააჩნია კოროზია – 5 ქულა;
- ბ) ძარა დეფორმირებულია და არის მექანიკურად დაზიანებული – იხსნება კონკურსიდან.

2. ძარას საფარველის მდგომარეობა:

- ა) საღებავის საფარი არ არის გახუნებული და დაზიანებული – 5 ქულა;
- ბ) საღებავის საფარი გახუნებულია (დაკარგული აქვს პირველადი ფერი) – 2 ქულა;
- გ) ძარის ფერი არ შეესაბამება მანქანის პასპორტში მითითებულ ფერს – იხსნება კონკურსიდან.

3. ძარაზე დამაგრებული კონსტრუქციით გათვალისწინებული ელემენტების მდგომარეობა:

- ა) ძარა კონსტრუქციით გათვალისწინებული ელემენტებით არ არის დაკომპლექტებული ან/და ეს ელემენტი(ები) დაზიანებულია – იხსნება კონკურსიდან.

4. საბურავების ცვეთა:

- ა) საბურავების პროტექტორის ნახატის დარჩენილი სიმაღლე არ არის 2 მმ-ზე ნაკლები – 3 ქულა;
- ბ) საბურავების პროტექტორის ნახატის დარჩენილი სიმაღლე 2 მმ-ზე ნაკლებია – იხსნება კონკურსიდან.

მუხლი 3. ავტოსატრანსპორტო საშუალების სალონის მდგომარეობა

1. სალონის მდგომარეობა, მისი განათება:

- ა) სალონი გაწყობილია რბილი და ხმაურჩამხშობი გადასაკრავით, ჰერმეტიულია, განათების სისტემა სრულყოფილია, იატაკი არ არის დაზიანებული – 2 ქულა;
- ბ) სალონი არ არის გაწყობილი ხმაურჩამხშობი გადასაკრავით – 1,
- გ) სალონი არ არის ჰერმეტიული და იატაკი დაზიანებულია – იხსნება კონკურსიდან.

2. კარების, ფანჯრებისა და მინების მდგომარეობა:

- ა) კარების საკეტები და ფანჯრების ჩამკეტები გამართულია, იკეტება და იღება თავისუფლად, მინები არ არის დაზიანებული – 2 ქულა;
- ბ) ფანჯრების ჩამკეტები არ არის გამართული, იღება და იკეტება ძნელად; მინები დაზიანებულია – 1 ქულა;
- გ) გასაღები ფანჯრები არ არსებობს – იხსნება კონკურსიდან.

3. სავარძლების რაოდენობა, მდგომარეობა, მათი განლაგება და დამაგრება:

- ა) სავარძლების ტიპი შეესაბამება სტანდარტებს, მათ შორის დამორეგები ნორმების ფარგლებშია (არანაკლებ 65 სმ), სავარძლები დამაგრებულია მყარად, სუფთაა, არ არის დაზიანებული – 3 ქულა;
- ბ) სავარძლები დაზიანებულია და/ან მათ შორის დამორეგები არ შეესაბამება ქარხანა-დამამზადებლის მიერ დადგენილ პარამეტრებს – იხსნება კონკურსიდან.

4. სალონში გათბობისა და სავენტილაციო სისტემების მოქმედება:

- ა) სალონში მოქმედებს გათბობისა და ჰაერის ვენტილაციის სისტემები – 3 ქულა;
- ბ) სალონში ჰაერის ვენტილაცია ხორციელდება სავენტილაციო ფანჯრებისა და ჰერზე განთავსებული სარკმლების მეშვეობით – 1 ქულა;
- გ) სალონში ჰაერის ვენტილაცია და/ან გათბობა არ ხორციელდება – იხსნება კონკურსიდან.


მუხლი 4. ავტოსატრანსპორტო საშუალების კონსტრუქციული უსაფრთხოება

1. მძღოლის უკანა ხედვის სარკეები დაზიანებულია, საქარე მინასაწმენდები გაუმართავია, მინის შუქგამტარობა არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს – იხსნება კონკურსიდან.
2. სასიგნალო-მაჩვენებელი მოწყობილობა, ახლო და შორი ნათების, უკუსვლის მაშუქები, გვერდითი, გაბარიტული და უკანა ნათურები, გაჩერების და მოხვევის მაჩვენებლების მოქმედება; სანომრე ნიშნის განათება – ჩამოთვლილი მოწყობილობებიდან, თუ რომელიმე არ მუშაობს – იხსნება კონკურსიდან.
3. ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის და სამედიცინო სააფთიაქო ყუთის არსებობა. თუ რომელიმე მათგანით არ არის აღჭურვილი – იხსნება კონკურსიდან.
4. სპიდომეტრი გაუმართავია – იხსნება კონკურსიდან.
5. აირის ბალონები დამონტაჟებულია ტექნიკური ნორმების დარღვევით – იხსნება კონკურსიდან.

მუხლი 5. ნებართვის მაძიებლის რეპუტაცია და საიმედოობა

1. ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელობის ფორმა კონკურსში წარმოდგენილი ავტობუსების 30 პროცენტი და მეტი ნებართვის მაძიებლის საკუთრებაშია – 5 ქულა;
2. ნებართვის მაძიებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ტერიტორია, შენობა-ნაგებობები და შესაბამისი მოწყობილობა-დანადგარები, განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალების შენახვის, რეცხვა-დასუფთავებისა და წინასარეისო მომსახურებისთვის) ნებართვის მაძიებელს აქვს საკუთრებაში სერტიფიცირებული, ტექნიკურად გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა – 8 ქულა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი



გიგია კურდღელია